ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 152

"22" მაისი 2015 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 აპრილის №124 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 აპრილის №124 განკარგულებაში შეტანილი იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. დაკმაყოფილდეს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნა და სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს ქ. თბილისში, დელისის ქუჩის მიმდებარედ №01.14.15.001.314; №01.14.15.001.316; და №01.10.11.001.168 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ჯამში 8881.00კვმ მიწის ნაკვეთი, შემდგომში შპს „ბი-ეს-არ-სი დი ჯი დეველოპმენტისთვის" სიმბოლურ ფასად, პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადაცემის მიზნით, იმ პირობით, რომ კომპანია ქ. თბილისში, მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ №01.14.14.005.172 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებას უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში. გადასაცემ და მისაღებ უძრავ ნივთების

საბაზრო ღირებულებას შორის ფასთა სხვაობის არსებობის შემთხვევაში თანხა ჩაირიცხოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში."

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ., N6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი